№ 158 1877—1900 № 158

შაბათი, 22 ივლისი, 1900 წ.

# ივერია

**ბაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

შაბათი, 22 ივლისი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 25 ივლისს.


## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1900—1901 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო კორესპონდენცია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленiе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ჰ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—133—9)

## ფოთის საბუღალტერო კურსები

კ. ბიბინეიშვილისა.

ახალ შემომსვლელთაგან თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდგან. მსურველთ პირობები და პროგრამმები გაეგზავნება მუქთად. (15—6.—2)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**კ. ი. ბძელიშვილი**, 12½—1½ საათ. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. ჰ. ქარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არზანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.


ტფილისი, 21 ივლისი

ვინც იცის, რა არის საზოგადოდ საქართველოში და კერძოდ იმერეთში ალაპის, ესრედ წოდებულ „ტირილის" გარდახდა, ყველა დაგვეთანხმება ამ ძველის-ძველ ჩვეულების მავნებლობასა და აწინდელ დროისათვის ყოვლად უაღაგობას. ეს ჩვეულება ჭირისუფალს კარს მიმდგარ უბედურებას, ოჯახის წევრის გამოკლებას არ აკმარებს, აკისრებს კიდევ ხარჯს, ხარჯს სატირლად მოსულ ხალხის გამასპინძლებისასა და სამას-ოთხასის კაცის დახვედრისას, ქონებრივად აღატაკებს და ავალიანებს და ამ გვარად ერთს ჭირს მეორეს ზედა ჰმატებს და უბედურებას აორკეცებს, ამრჩობლადებს.

მართლაც-და, ვერ წარმოიდგენთ ამ ერთის უბედურების თან-მდევს მეორე უბედურებას! აგერ გლეხ-კაცს ცოლი მოუკვდა, ოჯახს მოჰირნახულე, გამრჯელი, გამძღოლი ადამიანი ხელიდგან გამოეცალა. საბრალო გლეხი „ტირილის" წყალობით ისეთს დუხჭირს მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ ცოლის სიკვდილის გამო სატირლად აღარა სცალიან, სხვა რამ უნდა იტიროს: „სატირლად", ვითომ-და მწუხარების გასაზიარებლად ასობით ხალხი დაესევა და იმათ უნდა გაუმასპინძლდეს, იმათ გასაძღოლადა და გასაძღომად მტერსა და მოყვარეს ხელი უნდა გაუწოდოს, ივალოს, ივახშოს ფული, რომ „თავი არ შეირცხვინოს", „დუშმანი თავისზედ საავუგოდ არ აალაპარაკოს", „ნათესავსა და მოყვასს შორის პირ-ნათლად გამოვიდეს!.." ივალებს ოც-და-ათს, ორმოცს თუმანს და ჭირისუფალი, რაკი მიწას მიაბარებს თავისს ცხედარს, ახლა მასპინძლობას შეუდგება.

ასეთს გლეხს შეხვდებით სამი-ოთხის წლის შემდეგ და დაღარიბებული, დალონებული და დაძმარებული დაგხვდებათ. მიზეზი რომ ჰკითხოთ, ასე გიპასუხებთ: ამ ოთხის წლის წინად უბედურება მეწია, ცოლი დავმარხე, დავვალიანდი და ჯერაც „სატირლად" აღებულ ვალის ხდაში ვარო. ერთის სიტყვით, ცოლისა თუ ოჯახის სხვა წევრის სიკვდილი მისთვის მარტო იმად-კი არ არის სამწუხარო, რომ თავისიანი მოაკლდა, არამედ უფრო იმად, რომ ამ მოკლებას, ამ „ღვთის რისხვას" სხვა ამ ქვეყნიური რისხვა მოსდევს, დავალიანება, ოჯახის ეკონომიურად დაცემა და დაძაბუნება.

მერე რა არის ეს „ტირილი", თუ არ იგივე ლხინი და ქეიფი, იმ განსხვავებით, რომ ლხინს მიზეზად, საროჩულად სამხიარულო, სასიხარულო რამ გარემოება უდევს, ხოლო „ტირილს" ვისიმე სიკვდილი და ჭირისუფლის მწუხარება. „ტირილს" ჭირისუფალი მასპინძლად, ლხინისუფლადა ჰყავს გარდაქცეული. ამ უცნაურ ჩვეულების სიდუხჭირეს ისიც აორკეცებს, რომ ხშირად ასეთს „ტირილში" გონების დახშობამდე „ჩაღლევენ" ხოლმე და ამ „ჩაღლევას" ჩხუბი, აურზაური, ერთმანერთთან შეჯახება, ერთმანერთის დაჭრა, დასახიჩრება და სიკვდილიც-კი მოსდევს. ბევრჯელ მოხდარა, რომ „ტირილში" წაკიდებულთ ერთმანერთი სასიკვდილოდ დაეჭრათ, დაეხანჯლოთ და ერთს „ტირილს" შედეგად მეორე „ტირილი" მოჰყოლოდეს.

თუმცა ნათქვამია, „ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო", მაინც ჩვენი ხალხი დიდი ხანია მიხვდა, რომ ნათესავისა და მახლობელის გარდაცვალების გამო „ტირილი", მწუხარება და ჭირისუფლობა გულით უნდა გარდაიხადოს ადამიანმა და არა „მუცლით", და სცდილობს ამ სულისათვისაცა და ჯიბისათვისაც მავნებელ ჩვეულებას გაექცეს. რამდენადაც გვახსოვს, ამ ხუთის-ექვსის წლის წინად ზოგიერთის სოფლის საზოგადოებანი ხელ-წერილითაც-კი შეეკვრნენ ერთმანერთს,—ჩვენი მიცვალებული „აღარ ვიტიროთო". ერთი ამ გვარი მაგალითი „უტირლობისა" ამას წინად ასკანაშიაც მომხდარა, როგორც ჩვენი კორესპონდენტი მოგვითხრობს *), რასაც სიამოვნებით აღვნიშნავთ ამ წერილში. სოლომონ ჭეიშვილსა და მის ძმებს მოხუცი დედა გარდასცვლიათ და, „ტირილის" ნაცვლად, ჭირისუფლებს 100 მან. გვაზრათის ეკკლესიისათვის შეუწირავთ, 100 მ. ასკანის მომავალ ორ-კლასიან დედათა სკოლისათვის და 25 მან. მთისპირის ეკკლესიისათვის. კორესპონდენტი დასძენს, რომ „მიცვალებული „უტირლად" დაასაფლავეს. მისის გვამის

*) იხ. „ივერია" № 155.

# ფელეტონი

## სიკვდილი აუცილებელ ბუნებრივ მოვლენას შეადგენს ქვეყნად თუ არა?

მეცნიერთა შორის დღეს დიდი სჯა და კამათია იმის შესახებ, რა მიზეზია, რომ სხვა-და-სხვა გვარ სულიერ არსებათ სხვა-და-სხვა ხანგრძლივი სიცოცხლე აქვთ. რადგან ორი უზარ-მაზარი ცხოველი—ვეშაპი და სპილო ყველაზედ მეტს სცოცხლობენ, აქედგან ზოგიერთმა ის დასკვნა გამოიყვანა, რომ ხანგრძლივი სიცოცხლე ყოველ სულიერ არსებისა დამოკიდებულია იმის სიდიდეზედაო. მართლაც, სპილო და ვეშაპი რამდენსამე ათს წელიწადს სცოცხლობენ, ხოლო მცენარეთა შორის—ხე ბაობაბი ხუთ-ექვს ათასს წლამდინ სძლებს.

მაგრამ ამგვარი აზრი უსაფუძვლო აღმოჩნდა: სიცოცხლის ხანგრძლივობა ცხოველის სიდიდეზედ რომ იყოს დამოკიდებული, მაშინ ყოველ ორ გვარ ცხოველის შედარება დაგვარწმუნებდა, რომ რამდენად პირველი მეორეზედ დიდია, იმდენად პირველი ცხოველი უფრო მეტს ხანს უნდა სცოცხლობდეს. ნამდვილად-კი ამგვარი შედარება გვიჩვენებს იმას, რომ ცხოველის სიდიდეს არავითარი კავშირი არა აქვს სიცოცხლის ხანგრძლივობასთან. ავიღოთ, მაგალ., ცხენი და ლომბაშო *), ამ ორ ცხოველს შორის სიდიდის მხრივ დიდი განსხვავებაა; მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ორივეს ერთგვარი სიცოცხლის ხანგრძლივობა აქვთ. თუმცა წყლის კიბო ასჯერ უფრო პატარაა ლორზედ, მაგრამ სიცოცხლის ხანა ლორსა და იმას თანასწორი აქვთ.

შეგვიძლიან სხვა ბევრი ისეთი მაგალითი მოვიყვანოთ, საიდგანაც აშკარად დაინახავს ყველა, რომ ცხოველის სიდიდეს და იმის სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის არავითარი დამოკიდებულება და კავშირი არ არსებობს.

სხვათა აზრით კიდევ ცხოველის სიცოცხლის ხანგრძლივობა და ხანმოკლეობა დამოკიდებულია იმაზედ, თუ რამდენად მოძრავია და სწრაფი ცხოველი. რაც ცოცხალი არსება უფრო სწრაფი და მოძრავია, მით უფრო იგი მეტ ორგანიულ ნივთიერებათა მასალას ჰხარჯავს სხეულში და, მაშასადამე, ასეთ არსებას უფრო ადრე ელევა ბუნებრივი ძალღონე და უფრო ადრე ესპობა სიცოცხლე.

ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ფრინველზედ ხან-მოკლე არც ერთი არსება არ იქნებოდა ქვეყნად; ნამდვილად-კი ფრინველნი სხვებთან შედარებით დიდხანსა სცოცხლობენ. არიან ისეთნი ფრთოსანნიც, რომელნიც ძლიერ დიდ ხანსაც სცოცხლობენ. ყვავი, მაგალითად, ასს წელზედ მეტს სცოცხლობს, ისიც გალიაში დამწყვდეული, თავისუფალი ხომ უფრო მეტსა სძლებს. გამოჩენილი მეცნიერი ჰუმბოლტი გადმოგვცემს, ამერიკაში მოგზაურობის დროს ინდიელებმა მიამბეს, რომ ჩვენს ტყეში ერთი თუთიყუში დაფრინავს; ეს თუთიყუში ლაპარაკობს, მაგრამ ისეთ ენაზედ, რომელიც უკვე გადაგვარებულ ტომს უნდა ეკუთვნოდესო.

მაშ რაზეა დამოკიდებული სიცოცხლის სხვა-და-სხვა გვარი ხანგრძლივობა? ყველა სულიერი არსება, ბუნების შერჩევის კანონის ძალით, ემორჩილება ბუნების და ცხოვრების იმ გარემოებათ, რომლებშიაც იგი იმყოფება, ამიტომ იმისი ფიზიკური თვისებები შედეგია ამ გარემოებათა. თუ ერთი ცხოველი მეტ ხანსა სცოცხლობს, ხოლო მეორე უფრო ნაკლებ ხანს, აშკარაა ამას თვით ბუნებრივი გარემოებანი მოითხოვენ.

ყოველ სულიერ არსების დანიშნულება ქვეყნად ის არის, რომ თავისივე მსგავსი არსება შეჰქმნას და ამით უკვდავი ჰყოს თავისი მოდგმა. ბუნებას მუდმივ სახეში აქვს სარგებლობა მთელის მოდგმისა და არა კერძო არსებისა, ინდივიდისა; ამიტომ სიცოცხლის ხანგრძლივობის განაწილება სულიერ არსებათა შორის დამოკიდებულია იმაზედ, ამა თუ იმ არსებას რა დრო და ხანი უნდა, რომ შესძლოს თავისის უმთავრესის ბუნებრივის დანიშნულება აასრულოს, ე. ი. შეჰქმნას რაც შეიძლება მეტი თავისი მსგავსი არსება მოდგმის გასაძლიერებლად.

ჩვენ რომ სულიერ არსებათა ცხოვრება შევისწავლოთ, დავრწმუნდებით, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ცხოველის სქესურ ნაყოფიერებასთან და აგრეთვე იმ გარემოებებთან, მეტ თუ ნაკლებ განსაცდელში არიან ხოლმე ნორჩი არსებანი გამოკვებისა და აღზრდის დროს. მაშინ, როდესაც ოთხ-ფეხ ცხოველთა შვილები უფრო ნაკლებ განსაცდელში არიან, რადგან მათი განვითარება უმთავრესად დედის საშვილოსნო ორგანოში ჰხდება, ფრინველთა გამრავლებას ხელს უშლის მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზი: სინამ კვერცხიდგან გამოიჩეკებოდეს ფრინველი, ვინ იცის რამდენ ცხოველის გაუმაძღრობას უნდა გადურჩეს, რადგან კვერცხი ძლიერ გემრიელი და ნოყიერი საჭმელია ყველასთვის; ხოლო როდესაც გამოიჩეკა, იმ დრომდე, ვიდრე ფრთებს გაიმაგრებს და თვით შესძლებს საზრდოს შოვნას, დიდი ხანი გაივლის; ამ ხნის განმავლობაში-კი ფრინველმა ათასი განსაცდელი უნდა გამოიაროს. იმიტომ ბუნებამ ფრინველნი დააჯილდოვა უფრო ხანგრძლივის სიცოცხლით,

*) Жаба.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკრძალვის შემდეგ დამ-წრე საზოგადოებამ ეკკლესიის გალავანშივე ისაუზმა და თავ-თავიანთ სახლში წავიდნენო.“

აი, ჭეშმარიტად საუკეთესო მაგალითი, რომელიც ამიერიდგან ყველასათვის სახელმძღვანელოდ უნდა შეიქმნას. საჭიროა, რომ ქართველმა მღვდლებმა ამ მაგალითს მტკიცე საძირკველი გაუკეთონ და მრევლ შორის ქადაგებითა და მოძღვრებით ცხად ჰყონ „ტირილის“ მავნებლობა და ამ, თუმცა ძველისა და მამა პაპეულის, მაგრამ ყოვლად უვარგისის, ჩვეულების გადაგდებისა და მოსპობის საჭიროება.

ქართველი ხალხი ეკონომიურად ისეც მეტად დაცემულია და დაჩაგრული და მას „ტირილით“ გამოწვეულ უსაგნო და უსარგებლო ხარჯის აკიდება ზედ აღარა სჭირია; ეს ჩვეულება იქნება ძველი იყოს, მამა პაპური, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა განვაგდოთ იგი, რაკი შევიგენით მისი უსარგებლობა და მავნებლობა. ძველს იმას მოვეჭიდნეთ, რაც სულიერადა და ხორციელად აღგვამაღლებს, გაგვაკეთილშობილებს, წარმატებისა, სიკეთისა და განკარგების გზაზედ დაგვაყენებს, და უვარგისს-კი, სულ ერთია, ძველადვე იქნება იგი წესად შემოღებული და ჩვეულებად გარდაქცეული, თუ ახლად, რაც ჩქარა მოვსპობთ და მოვიშორებთ, მით უკეთესია. ღარიბს ქრისტიანს ბუნებითად თავს დატეხილი უბედურებაც ვაკმაროთ, უბედურება ნათესავისა და მახლობელის ამ წუთი სოფლით გამოსალმებისა და ზედ ქონებრივად დაწიოკებისა და დალატაკების უბედურებასაც ნუ დავურთავთ ხოლმე. ვისაც შეძლება ხელს უწყობს და ჰსურს თავისის მიცვალებულის „სულს ულხინოს“, მან ძ. ჭეიშვილების ღირსეულს მაგალითს მიჰბაძოს და ორიოდე გროში ჩვენს საზოგადო საქმეს, ჩვენს საერთო საზრუნავსა და დანაკლისს შეაწიოს, საზოგადო სატკივარს გაუწოდოს ხელი შველისა და დახმარებისა.

ამ მხრივ-კი საარჩევანო საგანს მოძებნა და მოჩხრეკვა არ მოუნდება; ჩვენი ეკონომიური სისუსტე, ჩვენი საერთო უძლურება იმდენად ხმა-მაღლა ჰღაღადებს, რომ ყველას ყურში და თვალ-წინ უდგას. გაიხსენეთ, რომ მთელი საქართველო მოწადინებულია ქართველ დედათა სასწავლებლის დაარსებას, აგერ ათი წელიწადია ამას გავიძახით, ამის სარგებლობასა და საჭიროებას გავკივით და აქამდე სულ 25,000 მან. ძლივს არის მოკრეფილი ამ საშვილიშვილო, ამ საერო საქმისათვის. ამაზედ სამწუხარო და სატირალი რაღა იქნება, რომ მთელმა საქართველომ, ამ ოდესმე ძლიერმა საქრისტიანო ერმა, ათს წელიწადს 25,000 მანეთზედ მეტი ვერ შეჰკრიბოს ისეთის საქმისათვის, რომლის საჭიროებისა და სარგებლობის გამო ლაპარაკიც-კი სირცხვილად მიგვაჩნია! და განა მარტო ეს არის? აგერ საერო მუზეუმის თანხას გადაავლეთ თვალი, სულ 7,860 მან. 71 კაპ. შეკრებილი, სალიტერატურო თანხა მხოლოდ 1,759 14 კაპ. უდრის. აი, ეს გახლავთ მონაღვაწევი მთელის ქართველთა ერისა საერო საქმისათვის!

რომელს ჩვენს საერო დაწესებულებას, რომელს ჩვენს საქვეყნო საქმეს აიღებთ, რომ ასეთსავე ვაგლახსა და სამწუხარო მდგომარეობაში არ იმყოფებოდეს. გაიხსენეთ მარტო ის, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“, ამ ჩვენს „მატიცას“, ათასი საკეთილო საქმე აქვს გათვალისწინებული და წინ წამოყენებული განსახორციელებლად და ვერც ერთისათვის ვერ მოუკიდნია მძლავრად ხელი ქონებრივ უძლურებისა გამო.

და აი, ამ დროს, როდესაც „საერთოდ მშივრები ვ ხოცებით“ ათასობით კერძო „ტაბლა“ უარარაოდ იფლანგება, იქ, სადაც მრავალი საზოგადო სატკივლი და სავაგლახო გვაქვს, კერძო „ტირილს“ ვალევთ ჩვენს ქონებასა და შეძლებას, მერე ისე, რომ ქვეყანასაც ეკარგება იგი და კერძოსაც არა ემატება-რა. ვგონებ საეჭვო არავისთვის უნდა იყოს, რომ ჭეშმარიტს ქრისტიანობას ის გაუწევს თავისს მიცვალებულს, ვინც, ასისა და ორასის ცუდა კაცის გაძღომას, თუ შეძლება მოსდევს, მცირეოდენს წვლილს ქართველთა გაუკუღმართებულ ბედის გამოსაბრუნებლად გაიღებს და ამითი თავისის მიცვალებულის სახელსა და სახსოვარს დაუვიწყარ ჰყოფს!..

ა. ახნაზაროვი

# ახალი ამბავი

*** ქალაქის სასწავლებელთა კომისიის წევრმა ბ-ნმა ლისიცაინმა გუშინ, 21 ივლისს, კომისიას წარუდგინა განსახილველად თვისი მოსაზრებანი ორის საგნის შესახებ: პირველი საგანი შეეხება ქალაქს პირველ დაწყებით სასწავლებლებში ბავშვების მიღებას. ეხლანდელის წესით, მასწავლებელნი იღებენ განსაკუთრებით ისეთ ბავშვებს, რომელთაც რუსული ენა და წერა-კითხვა იციან. ასეთი წესი ბავშვების მიღებისა მეტად შემავიწროებელია ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობისათვის, რადგანაც ქალაქის სკოლების დაარსების დროს განსაკუთრებით ისინი ჰყავდა სახეში, რომელთაც არავითარი სახსარი არა აქვთ ბავშვის სწავლისათვის ფასი გაიღონო. ამიტომ ეს წესი შეიცვალოს ისე, რომ ბავშვების მიღების დროს მასწავლებელთ მხოლოდ მათი წლოვანება ჰქონდეთ სახეში. მეორე საგანი შეეხება ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში ქალაქის სკოლებში კურს დამთავრებულ ბავშვთა მიღების საქმეს, ვიდრე სახელოსნო სასწავლებლის სასწავლო ნაწილი მთავრობის სამოსწავლო უწყების განკარგულებაში გადავიდოდა, ბავშვებს სახელოსნო სასწავლებელში სრულის ეგზამენის გარდაუხდელად იყვანდნენ, ეხლა კი ეს ეგზამენი უეჭველად უნდა მოიხადონ, რაც, ცოტა არ, იყოს ბავშვთა მიღების საქმეს აფერხებს, მით უმეტეს, რომ სამოქალაქო სასწავლებელში იმდენს ცოდნას იძენენ ბავშვები, რამდენსაც სახელოსნო სასწავლებლის პროგრამა თხოულობს. ამიტომ სასურველია მოისპოს სახელოსნო სასწავლებელში ამ ბავშვთა მიღების დროს ხელ-მეორედ გამოცდა და სამაგიეროდ მათ მიერ ქალაქის სასწავლებლებში სწავლის გათავების დროს იქმნენ მიწვეულნი სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებლები გამოცდაზედ დასასწრებლადაო.

*** ქალაქის გამგეობამ თავისს უკანასკნელს სხდომაზედ დაადგინა რომ ამ დანარჩენ ორის თვით ზაფხულში ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილის ხუროთ-მოძღვართა დასახმარებლად სამოქალაქო ინჟენერთა ინსტიტუტის ერთ-ერთი სტუდენტი მიიწვიონ.

*** დღეს, 22 ივლისს, მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის სახელწოდების დღეს, სიონის საკათედრო ტაძარში მისის ყოვლად უსამღვდელოესობის გორის ეპისკოპოსის ლეონიდის მიერ გარდახდილ იქმნება წირვა და სამადლობელი პარაკლისი. მრავალ ჟამიერის შემდეგ მათის იმპერატორებითის უმაღლესობის სადღეგრძელოდ არსენალის გორიდგან ზარბაზანს 21-ჯერ დასცლიან.

წირვა დილის 9 საათზედ დაიწყება, რომელსაც უნდა დაესწრნენ ტფილისში მდგომ ჯარების გენერლები, შტაბისა და ობერ-ოფიცრები და სამხედრო უწყების სხვა მოხელენი.

*** უმაღლესის განკარგულების თანახმად, „წითელის ჯვრის“ რუსეთის საზოგადოების კავკასიის საოლქო განყოფილებას ნება ეძლევა შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა სასარგებლოდ შეწირულებანი შეჰკრიბოს. აღნიშნული შეწირულებანი „წითელის ჯვრის“ კავკასიის საოლქო სამმართველოს უნდა გაეგზავნოს (ლერმონტოვის ქ. სახლი № 26)

*** კავკასიის სამოქალაქო უწყების სამკურნალო ნაწილის წევრი მკურნალი ა. თ. უმისსა უკვე დაბრუნდა ქუთაისისა და ბესარაბიის გუბერნიიდგანა და მალე განჯას გუბერნიასა და ყარსის ოლქში მიდის დასათვალიერებლად.

*** როგორც იწერებიან, ჩრდილო კავკასიაში ამ წელს საკმაოდ კარგი მოსავალი ყოფილა პურისა.

*** ხუთშაბათს, 20 ივლისს, განსაკუთრებულმა კომისსიამ, რომელშიაც, სხვათა შორის, საგუბერნიო ინჟენერიც იყო, სომეხ-გრიგორიანთა შამხორის ეკკლესია დაათვალიერა და შეამოწმა, თუ რამდენად საშიშია ის გარემოება, რომ აღნიშნულ ეკკლესიის კედლები დასკდა. თავისს მოხსენებას ამის შესახებ კომისსია საგუბერნიო მმართველობას წარუდგენს.

*** აღმოსავლეთის შემსწავლელ საზოგადოების კავკასიის განყოფილებათა დაარსების მიზანი, როგორც ისმის, ის თურმე, რომ კავკასიის განაპირა და მოსაზღვრე ადგილები იქმნას შესწავლილი, მრეწველობის განვითარებას ხელი შეუწყონ, სამრეწველო სკოლები დააარსონ დასხ.

*** 19 ივლისს, საღამოს მატარებლით ტფილისში ჩამოვიდა ბ ნი ნ. პ. პეტრიჩი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპეითალო ნაწილის გამგე.

*** ვაზის მდგომარეობის შესახებ იმერეთიდგან იწერებიან: ნესტიანსა და ხშირ-წვიმიანს გაზაფხულს ვაზების დაავადმყოფება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ სისტემატიურმა წამლობამ ბორდოს სითხითა და გოგირდით ძალიან შეასუსტა მილდიუ და ოიდიუმი და ზოგან-კი სრულიადაც მოსპო. მხოლოდ ერთს ვაზს, იმერულ „ციცკას“, ვერ უშველა წამლობამ. ამ ვაზს საზოგადოდ ძალიან ედება ოიდიუმი. ს. ბ ღდადში (ქუთ. მაზრა) ერთის გლეხის ვენახში ნახევარზე „კრახუნაა“ ჩაყრილი და ნახევარზე „ციცკა“; ორივეს ვაზის პატრონი ერთნაირადა სწამლობს, მაგრამ ყოველ წელს „ციცკას“ მაინც ერევა ოიდიუმი, მაშინ, როდესაც „კრახუნა“ სრულიად საღი რჩება.

ქუთაისის მაზრაში ერთობ თავისებურად ამზადებენ ბორდოს სითხეს: ერთს ჩაფს წყალში ჩაჰყრიან ერთს გირვანქა შაბიამანს და ნახევარ გირვანქა გაუქრობელ კირს; ამგვარად მომზადებული სითხე მთელს დღესა დგას; შემდეგ შიგ გაჰხსნიან გოგირდის ფხვნილს, დაახლოვებით ორ გირვანქასა და აი ეს არის იმერული ბორდოს სითხე.

მოსავალს საზოგადოდ კარგს მოელიან, თუ გვალვამ არ შეუშალა ხელი.

დამყნილმა ვაზებმა წელს ძალიან კარგად იხარეს. ყველაზე უკეთ ხარობს ფრანგული ვაზი Cabernete Rupestris-ზე დამყნილი. Cabernete

---

რათა ამით ფრინველთა მოდგმა არ შეწყვეტილიყო.

ორი ცხოველი რომ ერთმანეთს შევადაროთ, დავინახავთ, რომ იმათში ხანგრძლივი ის უფროა, რომელიც ნაკლებ ნაყოფიერია, ხოლო ხან-მოკლე ის, რომელიც რამდენსამე შვილს ერთად აჩენს. ამითი აიხსნება, რატომ ისე ცოტას ხანსა სცოცხლობს თაგვი, რომელიც ნაყოფიერებით განთქმულია. ფრიად ხან-მოკლენი არიან მწერნი. ზოგი ამათ-განი დაჰყრის თუ არა თესლს, მაშინვე კვდება. ზოგი ჯიშის პეპელა დილას გაჩნდება და საღამოთი-კი კვდება. არის ისეთი მწერიც, რომელიც მხოლოდ რამდენსამე საათსა სცოცხლობს.

რითი აიხსნება ასეთი ხან-მოკლეობა? რა სარგებლობა აქვს ამ ხან-მოკლეობით მთელ მოდგმას? განა უმჯობესი არ იქნებოდა მოდგმისთვის, რომ ინდივიდს, კერძო არსებას უფრო მეტს ხანს ეცოცხლნა? მწერი ეკუთვნის იმ სულიერ არსებათ, რომელნიც ყველაზედ უძლურნი არიან, მწერი ყველას ლუკმას შეადგენს, ყოველ წამსა და ყოველ ნაბიჯზედ განსაცდელშია. მაშ რა სარგებლობა იქნებოდა მოდგმისთვის, თვითეულ მწერს რომ დიდ-ხანს ეცოცხლნა! სიცოცხლე რომ ხანგრძლივი შესძლებოდა, სულ ერთია არ დააცლიდნენ და სხვები ადრე მოუსპობდნენ. ამიტომ ბუნებამ ამჯობინა მიეცა იმისთვის დიდი სქესური ნაყოფიერება. ამ აზრის სიმართლეს, სხვათა შორის, ფუტკრების ცხოვრებაშიაც ვხედავთ: ის ფუტკრები, რომლებიც ჯგუფებათ სცხოვრობენ, მაშასადამე, უფრო დაცულნი არიან მტრობისაგან, ნაკლებ განსაცდელში არიან, ამიტომ უფრო ხანგრძლივ სცოცხლობენ, ვიდრე სხვანი.

ეხლა ჩვენ შევუდგებით იმის ახსნას, რა გვარ ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს სიკვდილი; შესაძლოა მისგან თავის დახსნა, თუ იგი აუცილებელ ბოლოს შეადგენს ამ ქვეყნად ყველა სულიერ არსებისათვის.

მეცნიერება გვეუბნება, რომ არ არის ქვეყნად არც ერთი არსება, რომ არ კვდებოდეს! თვით თვალით უხილავი, მიკროსკოპიული არსებანიც-კი ემორჩილებიან ამ საერთო კანონს. ავიღოთ მიკროსკოპიული ერთ უჯროვანი არსება—ინფუზორი, შევისწავლოთ მისი თვისებანი და და ვნახოთ, როგორ მრავლდება იგი. —ეს პაწაწკინა არსება მრავლდება უბრალო გაყოფით: ერთი ინფუზორი იყოფა ორად ან რამდენადმე და თვითეული ნაწილი დამოუკიდებელ არსებად ხდება. თავისის მხრივ ეს ახალი არსებანიც იყოფებიან და ამ გვარად ცოტა ხნის განმავლობაში ერთი ინფუზორიდგან ჩნდება თავისუფალ ინფუზორთა მთელი ახალი ჯგუფი. მაგრამ ამგვარი დაყოფვა და გამრავლება როდი არის დაუბოლოვებელი; ინფუზორის ცხოვრებაში ისეთი ხანაც დგება ხოლმე, როდესაც იმდენად უძლურდება იგი, რომ თუ არ შეუერთდა თავისსავე მზგავს მეორე არსებას—ვეღარ სძლებს გამრავლებას; მაშინ მას სრულიად ბოლო ეღება, კვდება. ხოლო თუ შეუერთდა, ინფუზორს ეძლევა ახალი ძალა სიცოცხლისა, იგი ძველებურად იწყობს გამრავლებას. მაშასადამე, ინფუზორი ამ შეერთებაში ჰპოვებს გამაახლებელ ძალ-ს.

მაღალი, განვითარებული არსება მით განსხვავდება ისეთ დაბალ, მარტივ არსებისაგან, როგორც ინფუზორია, რომ პირველის სხეული მრავალის უჯრისაგან შესდგება, ხოლო მეორისა—მხოლოდ ერთის უჯრისაგან; პირველის თვითეული უჯრა უდრის მთელ ინფუზორიას. ყოველი არსება რაც უნდა განვითარებული იყოს, თავისს ცხოვრების დასაწყისში გამოივლის ხოლმე ისეთ ხანას განვითარებისას, როგორც ინფუზორი, იგი ამისავით ერთ უჯროვანია. მამრობითის სქესის სანაშენო უჯრა, შეუერთდება რა დედრობითის სქესის ამ გვარსავე უჯრას, წარმოსდგება ის მიკროსკოპიული არსება, რომელიც გაყოფით, როგორც ინფუზორი, ხდება მრავალ უჯროვანად; განსხვავება მხოლოდ ი აა, რომ როდესაც ინფუზორი რამდენსამე ნაწილად იყოფება, ყოველი ნაწილი განცალკევებულ არსებობას იწყობს, ხოლო მაღალ არსების განვითარების დროს ახალი უჯრები არ შორდებიან ძველებს, უერთდებიან მათ და ამ გვარად შეადგენენ ერთ მჭიდრო, დაუშლელ სხეულს. თავდაპირველად უჯრები თავისისავე აგებულებითა და მოყვანილობით ერთ-გვარნი არიან, მერე-კი მათ ცვლილება ეტყობათ, იყოფებიან ჯგუფებათ და ყოველი ჯგუფი ასრულებს რაიმე ერთ დანიშნულებას, ხოლო უჯრების ყველა ჯგუფთა მუშაობისაგან წარმოსდგება მთელის სხეულის მუშაობა. ამ გვარად ყოველი განვითარებული არსება შესდგება ნერვებისაგან, მუსკულებისაგან, ძვლებისაგან და სხ. ყოველი მათგანი შესდგება განსაკუთრებულ უჯრებისაგან.

ამასთან ყოველ სულიერ არსების სხეულში უჯრათა აღნიშნულ გამრავლებასთან ერთად ხდება დაშლა დაძველებულ, ღონე მოკლებულ უჯრებისაც. ამ დაშლის მიუხედავად, არსება იზრდება, სცოცხლობს, რადგან უჯრათა დაყოფა და გამრავლება ძლიერია. მაგრამ როდესაც არსება ხანში შედის, უჯრათა გამრავლების ძალა იმდენად სუსტდება, რომ არსება უძლურდება

Rupestris-ი იძლევა 70% ნახარებს ვაზს.

*** როგორც შევიტყეთ, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის განყოფილებაში, რომელიც მიხეილის პროსპექტზედ იმყოფება, ამიერიდგან გასაგზავნ დეპეშებსაც მიიღებენ. ეჭვი არ არის, ეს განკარგულება მტკვრის ამ მხარეზედ მცხოვრებთათვის დიდი შეღავათია. აქედგან დეპეშები ცენტრალურს სადეპეშო სადგურს გადაეცემა და შემდეგ აქედგან დანიშნულებისამებრ გაიგზავნება.

*** სასულიერო მთავრობის განმარტებით, ლოთობისაგან გარდაცვალებულნი თავის მკვლელებად არ უნდა იქმნან მიღებულნი და ამის გამო სრულის ქრისტიანულის წესით უნდა იქმნან ხოლმე დასაფლავებულნი.

*** მთავრობის განკარგულებით, ოთხ აბაზიან გერბის მარკას მაგიერ ამიერიდგან შემოღებულ იქმნება მანეთიანი.

*** ქ. დუშეთი. ამ თვის 15-ში აქ დიდი ნიაღვარი იყო, რომელმაც საგრძნობელად აზარალა ჭირნახული და სახლი. შუადღის შემდეგ ამოვარდა ქარი, დაუშო მხაფუნა წვიმა და ერთის საათის განმავლობაში იმოდენა წყალი მოვარდა ყველგან, რომ პატარა რუებს და მშრალ ღელეებშიაც-კი ადამიანის გასვლა შეუძლებელი გახდა. ნიაღვარმა შუადღემდე გასტანა. წყლები თანდათან მატულობდა. მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ წვიმის ღვარებს ხუთი კაცი მოუტაცნია და სამი მათგანი დაეღრჩო, ხოლო ორი კი რის ვაივაგლახობით გადარჩენოდა დაღუპვას. დაზარალებულთაგანი ერთი ბაზალეთის პოლიციის ბოქაულის საქმის მწარმოებელი მ. გ. ხატიშვილია, რომელიც ღამე დუშეთის ხევზედ გასვლის დროს წყალს ცხენიანად მოუტაცნა. ხოლო დანარჩენები ქას-ხეველები არიან. განსვენებული ხატიშვილი იმ ღამეს ცხენით მომავალი ენახათ შინისკენ. ეს-კი არავის გაუგია, რა უბედურებაც შეემთხვა, სანამ მეორე დღეს წინ დუშეთის რიყეზედ მისი გვამი არ იპოვეს. საზოგადოდ წრეულს აქეთ წვიმიანი ამინდებია. მომკალი ყანები და მოთიბული ბალახი ლამის არის ადგილობრივ დალპოს. რაც წარსულის ორის-სამის წლის განმავლობაში სეტყვამ დაგვაგდო, ეხლა წრეგანდელმა წვიმებმა დაგვითავა.

*** დ. ზუგდიდი. 13 ივლისს, ღამით, ბოროტ-მოქმედებმა აქ მეორე გილდის ვაჭრის ვატა ბ. დარჯანიას მაღაზია გასტეხეს. აი საქმე როგორ მომხდარა: მაღაზიის კარების წინ ყოფილა დაჭედილი სამ-ოთხ ადგილას გახვრეტილი ფიცარი, რომ ჰაერს თავისუფალი მოძრაობა ჰქონოდა ქვემო სარდაფში. ბოროტ-მოქმედთ აუგდიათ ეს ფიცარი, მერმე რკინის წაწნო დაუგრეხიათ და შემძვრალან სარდაფში. იქიდგან გაუღიათ სარდაფის ზემო კარი და ამომძვრალან ზევით. საუბედუროდ თვითონ პატრონი იმ ღამეს თავისას დარჩენილა საქმისა გამო და მაღაზიაში მარტო ნოქრები უოფილან, რომელთაც ვერაფერი ვერ გაუგიათ. ამ გვარად ბოროტ-მოქმედთ წაუღიათ ფულად 360 მანეთი და შემდეგი ნივთები: ოქროს საათი, 50 მანეთად ღირებული,—ერთი თოფი, 50 მან. ღირებული,—ვერცხლის ნივთები 15 მან. ღირებული,—პალტო 18 მ. 50 კ. ღირებული,—ქარქები 30 მან. ღირებული, სამი დუჟინი ფრანგულ კოვზი, 15 მ. 50 კ. ღირებული; აგრეთვე ციგარები, პაპიროსები და სხვა, ასე რომ ზარალი 600 მანეთს აღემატება.

*** სოფ. საჯევახო: „პეტრე-პავლობის ბაზრობა“ ექვსს ივლისს გათავდა. წელს ბაზრობაში აუარებელი ვაჭრები მოვიდნენ. აბრეშუმის მოსავლიდგან აღებული ფული სოფლის ხალხმა ყველა აქ დახარჯა, თუ რაიმე დაკადარჩათ სათოსტო და სხვა გარდასახადთა გასტუმრების შემდეგ. ორს ივლისს, კვირას, პეტრე-პავლობის ბაზრობას აუარებელი ხალხი მოაწყდა მახლობელ თუ შორეულ სოფლებიდგან, ასე რომ იმ დიდს ჭალაზედ, სადაც ბაზრობა იყო, როგორც ჩვენს სოფელში იტყვიან, „ტევა აღარ იყო!“... 29 ივნისიდგან ბაზრობის გათავებამდე წესიერებას პეტრე პავლობის ბაზრობაში ჯეროვანს თვალ-ყურს ადევნებდა ზაბა ჩოხატაურის ბოქაული ბ-ნი ვარდენ ქელბაქიანი. ბოქაულმა, სხვათა შორის, ყურადღება მიაქცია ბაზრობაში სოფლის ხალხზედ გასასყიდად შემოტანილს უვარგისს თევზს, ტარანას, რომელიც მისის განკარგულებით გადაარჩიეს და იქვე დასწვეს. წელს ამ ბაზრობაში არავითარი უწესობა არ მომხდარა.

*** ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის კათოლიკეთა მკვდრების ვიზიტატორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, რომ რადგანაც ახალ-კათოლიკეთა ქუჩის სახელის მელიქოვის სახელად შეცვლამ მეტს უხერხულს მდგომარეობაში ჩააგდო ამ ქუჩის მცხოვრებნი და რადგანაც უწინდელი სახელი უფრო შეეფერება ამ ქუჩას, ძველი სახელი შეუცვლელად დაუტოვეთო.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობის იურისკონსულის თანაშემწემ განაცხადა საჩივარი ტფილისის იმ მცხოვრებლებზედ, რომელთაც არ შეუსრულებიათ ქალაქის სასანიტარო სამუშაოები. საჩივარი განუცხადებია სულ 58 კაცზედ, რომელთაც ქალაქის სასარგებლოდ უნდა გარდაიხადონ სულ 5.008 მ. ჯარიმად.

## წერილი ჭიათურიდგან.

შორაპნის მაზრის მწარმოებელთა კრების პატივცემული საბჭო გაზეთების საშუალებით აცხადებს იმ საყურადღებო პროგრამმას მესამე კრებისას, რომელიც ქ. ქუთაისში დანიშნულია ამ ივლისის 26 ს. როგორც პროგრამმის შინაარსიდგანა სჩანს, ამ კრებას ექმნება დიდი მნიშვნელობა ჭიათურის საკუთრივ მცხოვრებისათვის; ამიტომაც ჭიათურის საზოგადოება მოუთმენლად და დიდის აღტაცებით მოელის ამ კრებას. პროგრამის უველა კითხვა დიდის ყურადღების ღირსია; ყველა კითხვას საზოგადო ხასიათი და მიმართულება აქვს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჭიათურის მცხოვრებთა სწავლა-განათლების შესახებ არავითარი კითხვა არ არის პროგრამაში ნახსენები, თუმცა, იმედი გვაქვს, ხსენებული საბჭო ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს სწავლა-განათლების მხრივაც ჭიათურას.

თუ მოგეხსენებათ, ჯერ-ჯერობით ჭიათურაში მხოლოდ ერთად-ერთი სამრევლო სკოლა გვაქვს, მაგრამ ეს ერთკლასიანი სკოლა ჭიათურის მრავალრიცხოვან საზოგადოების მოთხოვნილებას მესამედზედაც ვერ აკმაყოფილებს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ სკოლაში 50—55 მოსწავლეზე მეტი არ დაეტევა, და რომ დაეტიოს კიდეც, ერთს მასწავლებელს არ შეუძლიან ამ რიცხვზედ მეტი იყოლიოს; მეორე, ვინც ათავებს სკოლას, ყველას ხომ არ შეუძლიან სხვა ქალაქში წაიყვანოს თავისი შვილი სწავლის გასაგრძელებლად, და ამის გამო უმეტესი ნაწილი, შეუძლებლობისა გამო შინა რჩება, თავისს სწავლის სურვილს გზას ვერ აძლევს და ახალგაზრდა ყმაწვილს უდროოდ გული ეჩაგრება. ამისათვის მალიან საჭირო და სასურველია, რომ ვისაც გული შესტკივა ჭიათურის საზოგადოების და მის ახალგაზრდობის გამო ყურადღება მიაქციოს და მომავალ კრების წინაშე იშუამდგომლოს, რომ ჭიათურის სამრევლო სკოლა ორ-კლასიან სამრევლო სკოლად გარდააკეთონ; ამისთვის საჭიროა მხოლოდ ცოტაოდენი ადგილი და შესაფერისი შენობა. მასწავლებლებს ჯამაგირს ხაზინა მისცემს, როგორც სხვა ორ-კლასიან სამრევლო სკოლების მასწავლებლებს აძლევს. მაშინ სწავლის საქმეც უკეთესს ნიადაგზედ იქნება დაყენებული და აღარც ამოდენი ახალგაზრდობა დარჩება უსწავლელი, რადგანაც ყველას დაიტევს და ორ-კლასიან სკოლაში კურს დამთავრებულსაც იმ ზომამდე აღეძვრება გულში სწავლის სურვილი, რომ შემდეგის განათლებისათვის თვითონ გამონახავს გზას. შეიძლება ბრძანოს ვინმემ, აღნიშნულს კრებაზედ უამისოდაც ბევრი პროექტები და კითხვებია გასარჩევი და ეს სხვა დროს იყოსო, მაგრამ, არ მგონია, ეს კითხვა უადგილოდ იცნოს კრებამ. ჩვენს საყვედურს არ მოვახსენებთ პატივცემულს საბჭოს; პირიქით ჭიათურის საზოგადოება დიდად მადლობელია, რომ აგერ მეორე წელიწადია ჩვენს სკოლას ქონებრივად ამისთანა დიდს დახმარებას უწევს. მაგრამ ესეც თანაგრძნობა საბჭოისა გვამხნევებს და იმედს გვაძლევს, რომ ეს პატივცემული დაწესებულება თავისს მესამე კრებას, სხვათა შორის, ორ-კლასიანის სკოლის დაარსებით აღბეჭდავს, მით უფრო, რომ ჭიათურის დაქვეითებული მდგომარეობა სწავლა-განათლების მხრივ ამის შესახებ უოველ დღე ჰღაღადებს და ჭიათურა და მისი მაგვარ-ქვა მაზრა ამ კრებას.

ბესარიონ ვაშაძე

## სასამართლოს მატიანე

ილიკო და პავლე გულიტაშვილებისა და სამსონ კურცხალიას საქმე

პარასკევს, 21 ივლისს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა, პალატის თავმჯდომარის ი. ვ. სტრუვეს თავმჯდომარეობით, განიხილა, სხვათა შორის, ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფელ პერევის მცხოვრებ გლეხთა ილიკო და პავლე დათიას ძეთა გულიტაშვილებისა და სოფელ ქალის მცხოვრებ აზნაურ სამსონ კურცხალიას საქმე, რომლითაც გლეხთ გულიტაშვილებს ბრალდებოდათ წინასწარ მოფიქრებით სამსონ კურცხალიას გზაში დახვედრა და კეტით ცალი ხელისა დ ფეხის დამტვრევა. როგორც საქმიდგან სჩანს, წარსულს წელს კურცხალიას თავისს საბალახეში დაუჭერია გულიტაშვილების ცხვარი, რომელიც მიუბარებია მთაში თავისის ხიზნისათვის. შემდეგ 17 ივლისს 1899 წლისას, როცა შინ, სოფელში წამოუყვანია ცხვარი, გზაში დახვედრიან ილიკო და პავლე გულიტაშვილები, მოსვლიათ ჩხუბი, რომლის დროსაც კეტებით ისე გაულახავთ 60 წლის მოხუცებული კურცხალია, რომ ხელი და ფეხი მოუმტვრევიათ.

ეს საქმე პირველად განიხილა ქუთაისის ოლქის სასამართლომ, რომელმაც დამნაშავედ იცნო ილიკო და პავლე დათიას ძენი გულიტაშვილები და გარდაუწყვიტა ორივეს ყოველისავე პირადისა და წოდებრივად მინიჭებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და საპატიმროში ერთის წლის ვადით დატუსაღება, და აგრეთვე 142 მანეთის გარდახდევინება სამსონ კურცხალიას სასარგებლოდ. გულიტაშვილები არ დათანხმებულან ამ განაჩენს და საქმე პალატაში გადაუტანიათ. პალატამ, გუშინ განიხილა რა მთელი ამ საქმის გარემოება, დამნაშავედ იცნო ილიკო და პავლე გულიტაშვილები და დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთ ამერიკელს, ვინმე ლეკს, წყლის ქვეშ მოსიარულე გემის „არგონავტის“ გამომგონს, ამ გემზედ სადილი გაუმართნია. მიუწვევია ლეკს სულ ცამეტი კაცი. სტუმარნი კაპიტანს ლევს გემში ბრაიდჯპორტს მახლობლად ჩაუსხავს. იქიდამვე გემი წყლის ქვეშ ჩასულა და ასე რამდენიმე მილი გაუვლია. სტუმრები ლაზათიანად შეექცეოდნენ თურმე სადილს წყლის ქვეშ. სადილს შემდეგ განსაკუთრებულ კარებიდგან ლეკს ზღვის ძირზედ ჩაუშვია ორი წყლის ქვეშ მოსიარულე კაცი. ამათთვის ლეკს განსაკუთრებული მანქანები და ტანისამოსი ჰქონია დამზადებული. შემდეგ უჩვენებია სტუმრებისათვის როგორ იღებენ ზღვის ძირიდგან ჩაძირულ ნივთებს. „არგონავტი“ მეორე გემია კაპიტანის ლეკის მიერ გაკეთებული. ეს მეორე გემი უფრო გაუმჯობესებულია და ბევრად უკეთესი პირველზედ. გემი ფოლადისაგან არის აგებული, გემზედ სულ ხუთი კაცია. მოძრაობაში გემი გაზომეტრის შემწეობით მოჰყავთ. ამას გარდა გემს ოთხი თვალიცა აქვს, ორი წინა

---

და ბოლოს კვდება. იმ დროს, როდესაც უჯრათა გამრავლების ძალა მცირდება, ცხოველთა საშვილოსნო ორგანოებს გამოაქვთ სქესური უჯრები, მამრობით და დედრობით სქესის წარმომადგენელთა უჯრების შეერთებით ჩნდება ახალი სულიერი არსება. ორმა ძველმა არსებამ თავისის სქესურ უჯრების შეერთებით შექმნეს ახალი, უფრო ძლიერი არსება.

როგორც ზემოთა ვნახეთ, ერთ-უჯრიანი არსება — ინფუზორი, თავდაპირველად ძლიერ მრავლდება, შემდეგ კი ისე უძლურდება, რომ გამრავლების უნარი აკლდება. ასეთ დროს იგი გამაძლიერებელ ძალას ჰპოვებს ხოლმე მსგავს არსებასთან შეერთებაში. მაღალი არსებაც ასეთვე. იგი სცოცხლობს მხოლოდ მანამდე, ვიდრე იმის უჯრებს აქვთ ბუნებრივი ძალა გამრავლებისა, როდესაც ეს ძალა ილევა, სულიერ არსებას ბოლო ეღება. ინფუზორები თვით ერთდებიან, მაღალ არსებათა შორის კი ამ გვარი შეერთება ხდება მხოლოდ მათის სქესურის უჯრათა წყალობით. თუმცა ცალკე ინდივიდნი იხოცებიან, მაგრამ სიცოცხლე მთელის მოდგმისა, მთელის სულიერ არსებათა სამეფოსი უკვდავია.

ყოველი ჩვენთაგანი უნდა დაჰმორჩილდეს ბუნების გადაწყვეტილებას—სიკვდილს, იგი აუცილებელი ბოლოა ყოველ გვარ სულიერ არსებათა. მაგრამ ამასთან უნდა გვანუგეშებდეს ისიც, რომ ჩვენ სულ არ ვისპობით. ნაწილი ჩვენის სიცოცხლის სქესურის უჯრათა წყალობით გადადის ჩვენს შთამომავლობაზედ.

ამ ბოლოს დროს სამეცნიერო ჟურნალებმა ამბავი მოგვიტანეს, რომ გამოჩენილი მეცნიერი მეჩნიკოვი იმის გამოკვლევაშია, შეიძლება თუ არა ადამიანს სიცოცხლე მიემატოს, იმისი დღენი გახანგრძლივებულ იქმნენ. ბევრი მაგალითია, რომ უწინ და ეხლაც ადამიანს ასი წელიწადი და მეტიც უცხოვრია. მეცნიერებაში აღნიშნულია, რომ—მე-XVIII საუკუნეში ორმა ადამიანმა ორასს წლამდის იცოცხლა. მეჩნიკოვი ჰფიქრობს, ადამიანმა რომ ასს წლამდინ მაინც იცოცხლოს, სიკვდილისა ისე აღარ ეშინება კაცს, როგორც ეხლა ეშინიან, პირიქით ადამიანში სიკვდილის ინსტიქტიც კი გაღვიძებსო. როგორც მთელის დღის განმავლობაში მუშაობით დაქანცული კაცი საღამოს ჟამს ძილს ეძლევა, ისე ღრმა მოხუცი, ცხოვრების ჭირ-ვარამით დაღლილი, უშიშრად დაუხვდება სიკვდილს.

როგორც ქვეყნად სულიერ არსებათა შორის შეუწყვეტელი ბრძოლაა არსებობისათვის, ასეთივე ბრძოლა არსებობს ყოველ სულიერ სხეულში იმის უჯრათა შორის. ვიდრე ცხოველი ახალგაზრდაა, უჯრათა შორის ბუნებრივი სისწორეა, ერთნი მეორეთ ვერა სჩაგრავენ, ხოლო როდესაც ცხოველი ბერდება, ეს თანასწორობა ირღვევა, ერთი ჯგუფი უჯრებისა სძლევს მეორე ჯგუფს; იძლევიან უმთავრესად ის უჯრები, რომლებიც უფრო ნაზის აგებულებისანი არიან, უფრო მაღალ, განვითარებულ დანიშნულებას ასრულებენ სხეულში, როგორც მაგალითად, ის უჯრები, რომლებისაგანაც ნერვები, ტვინი და სხ. შესდგება. ამგვარ ნაზ და „კეთილშობილ“ (როგორც მეჩნიკოვი ამბობს) უჯრების განადგურებაში უმთავრესს მონაწილეობას იღებენ ლეიკოციტები, რომლებსაც ამ თავისის გამანადგურებელის თვისების წყალობით დაერქვათ სახელად „ფაგოციტები“. ლეიკოციტები ჰქვიან უფერო სისხლის ბირთვებს, რომლებიც წით ლ ფერ ბირთვებთან ერთად სისხლში დატრიალებენ, როცა, სიბერის დროს, უჯრები უძლურებაში შედიან, ლეიკოციტები ანუ ფაგოციტები, ესხმიან თავს და იწყობენ იმათ განადგურებას; წინად, როცა მეტი ბუნებრივი ძალა ჰქონდათ, უჯრებს შეეძლოთ მტრის მოგერება, იმდროს მათ, სხვათა შორის, მეჩნიკოვის აზრით, ფაგოციტების მოსაგერებლად გამოჰქონდათ ერთგვარი წვენი, ეს წვენი იკავდა უჯრას ფაგოციტებისგან; სიბერის დროს-კი უჯრებს ეს თვისება აკლდებათ.

ეხლა მეჩნიკოვი ამ გვარ კითხვას იძლევა: არ შეიძლება ეს ფაგოციტები ცოტათი მაინც შევასუსტოთ, რომ „კეთილშობილ“ უჯრებს ისე ველარ ანადგურებდენ, როგორც ეხლა.

ჩვენ, ამბობს მეჩნიკოვი, ზოგიერთ გადამდებ სენს ვარჩენთ იმ სითხით, რომელიც მომზადებულია ამ სენის გამომწვევ ბაცილებისაგანვე. ასეთივე სითხის მომზადება რომ ფაგოციტებისგან შევძლოთ და შევუშხაპუნოთ ეს სითხე მოხუცს, მოსალოდნელია, ფაგოციტები იმდენად დაუძლურდნენ, რომ სხვა ნაზ უჯრებს ბევრი ველარა დააკლონ რა; მაშინ ადამიანი უფრო ხან-გრძლივად იცოცხლებს, ასს წლამდის მაინც მიაღწევს და ისეთი შიშიც აღარ ექმნება სიკვდილისა, როგორც დღესა აქვს.

რამდენად გამართლდება მეჩნიკოვის ცდა, ამას მერმისი დაგვანახვებს, ახლა-კი ვაცნობებთ მკითხველებს მხოლოდ იმას, რომ იდეა დაუძლურებულ ადამიანის სხეულის განახლებისა ეკუთვნის სახელოვან ფრანგს მეცნიერს ბროუნ-სეკარს.

ექიმი ბადრიძე

და ორიც უკან. წინ გემს ელექტრონის ფარნები აქვს ზღვის ძირის გასანათებლად. საზოგადოდ ლეკის გემი თითქმის უნაკლულო რამ არის თურმე.

***

როგორც „პარიჟული გაზეთი“ გადმოგვცემს, ხმა დადის თურმე, რომ ავსტრიის მოხუცებულ იმპერატორს ფრანც-იოსებს აზრადა აქვს ცოლი შეირთოსო. ამ გაზეთის სიტყვით, იმპერატორის არჩეული ბურგ-თეატრის არტისტი-ქალი ეკატირინე შარტია, ორმოცის წლისა, მაგრამ მაინც ძალიან ლამაზი ქალია. შარტი ძალიან დაახლოვებული ყოფილა განსვენებულ იმპერატრიცასთან, ფრანც-იოსების მეუღლესთან.

***

ინგლისის ქვეშევრდომებს ავსტრალიაში თავიანთი პატრიოტული გრძნობა ინგლისის მიმართ უცნაურად განუცხადებიათ. როდესაც მელბურნში ამბავი მისულა, რომ მდინარე ტუგელთან ბულლერი რამდენჯერმე დამარცხდაო, ამ ამბავს ისეთი გავლენა ჰქონია ხალხზედ, რომ ერთ დღეს პოლიციას 66 კაცი დაუპატიმრებია. რამდენიმე კაცი ქუჩაში იდგა თურმე და ჰყვიროდა, ვინც ინგლისის წინააღმდეგ იტყვის რამეს, ცხვირ-პირს ჩავამტვრევთო. დაპატიმრებულნი ყველანი მთვრალნი ყოფილან. როდესაც პოლიციაში უკითხნიათ, რად დაითვერითო, თითქმის ყველას ის უთქვამს, ბულლერის დამარცხებამ ძალიან იმოქმედა ჩვენზედ და დარდისაგან დავლიეთო.

***

ნეუშტადტში (გერმანიაშია) სცხოვრობდა ცოლ-ქმარი. 25 წელიწადია თურმე, რაც ცოლქმართ ჯვარი დაუწერიათ. მხოლოდ ერთი შვილი ჰყოლიათ, 23 წლის კაცი. გასულა რამდენიმე წელიწადი, ცოლს მოსწყენია ქმართან ცხოვრება და განქორწინება მოუთხოვნია. ქმარი ამერიკაში წასულა და უკან მხოლოდ რამდენისამე წლის შემდეგ დაბრუნებულა. შეჰხვედრია თავისს განქორწინებულ ცოლს, ხელ ახლა შეჰყვარებია და ხელ-ახლა ჯვარი დაუწერიათ. მაგრამ არც ეს ქორწინება გამოდგა თურმე ხანგრძლივი: მეუღლენი ხელ-მეორედ განქორწინებულან.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ივლისი

**პეტერბურგი.** „მთავრობის უწყებაში“ დაბეჭდილია: „20 ივნისს ჩინეთის საელჩოს მიერ მიღებულ იქმნა ბოღდიხანის დეპეშა, უმაღლესის სახელზედ გამოგზავნილი შუამავლობის თხოვნით. 30 ივნისს პეტერბურგში მყოფ ჩინეთის ელჩს გადაეცა პასუხი, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „ხელმწიფეს მეტად სამწუხაროდ მიაჩნია ჩინეთის იმპერიაში მომხდარი ამბები, რომელთაც შეიძლება მეტად ცუდი შედეგი მოჰყვეს ამ იმპერიისათვის. ის გარემოება, რომ არაფერი ვიცით საქმის ვითარებისა ჩინეთში, ნამდვილი ცნობები არ მოდის საიმპერატორო და სხვა მისსიათა მდგომარეობისა და ბედის შესახებ და აგრეთვე არ მოდის ნამდვილი ცნობები რუსეთის ქვეშევრდომთა და სხვა უცხო-ქვეყნელთა შესახებ, შეუძლებელს ჰყოფს შუამდგომლობას ჩინეთის სასარგებლოდ. რუსეთი მხოლოდ ერთსა სცდილობს—ხელი შეუწყოს წესიერებისა და მშვიდობიანობის აღდგენას ჩინეთის იმპერიაში. ჩინეთის მიმართ გულ-წრფელის მეგობრობით აღძრული, საიმპერატორო მთავრობა უსურვებს ჩინეთის იმპერიას, რომ უბედურება და უწესოება თავიდგან აეცილებინოს; ამ მხრით საიმპერატორო მთავრობა მზად არის დაეხმაროს და ყოველგვარი შემწეობა აღმოუჩინოს ჩინეთის მთავრობას ამბოხების ჩასაქრობად. ხელმწიფეს იმედი აქვს, რომ ბოღდიხანი სასტიკს ზომებს მიიღებს თავისს უდიდეს იმპერიის დასამშვიდებლად და რუსეთის ქვეშევრდომთა და ჩინეთში მცხოვრებ უცხო-ქვეყნელთა ცხოვრებისა და ქონების დასაცველად.“

გროდეკოვის დეპეშა, 18 ივლისს გამოგზავნილი: „ჯარს, რომელიც შესდგებოდა მსროლელთა სამის რაზმისა, სამის ბატარეისა და 100 ყაზახისაგან, და რომელსაც გენერალი აიგუსტოვი უფროსობს, ებრძანა ჩინეთის ციხის ხუნჩუნის აღება. ჯარი ახალ-კიევიდგან 16 ივლისს გავიდა, ღამე ჯარმა ნოვოიში გაათია და 17 ივლისს საღამოთი ხუნჩუნი აიღო. ხუნჩუნისაკენ იერიშით ღამე გაემართა ჯარი, ხოლო ბრძოლა დილის 5 საათზედ დაიწყო. ჩვენის მხრით მოკლულ იქმნა მე-6 სამთო ბატარეის უფროსი პოდპოლკოვნიკი პოსტნიკოვი და ციმბირის მე-16 მსროლელთა რაზმის პოდპორუჩიკი კვიატკოვსკი II; დაჭრილ იქმნა პოდხორუნჟი ეპიფანეცი. ჯარის-კაცი მოკლულია 6, დაჭრილი 4; სიმაგრეში რამდენიმე ზარბაზანი ავიღეთ. ჩინელები ისე შეშინდნენ, რომ ქალაქსა და ახლო-მახლო სოფლებში არც ერთი კაცი აღარ დარჩენილა. ბევრი თითქმის შიშველ-ტიტველი გარბოდა. ჩინეთის ჯარმა არ დაუცადა ჩვენ ჯარს და საველოკიდგან ჯერ ისევ 14 ივლისს წავიდა ხუნჩუნისაკენ“.

**ტიან-ძინი.** 12 ივლისს, საღამოთი, აქ მოვიდა პეკინიდგან კაცი და მოიტანა პეკინში მყოფის იაპონიის ელჩის დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ 9 ივლისს საელჩოები უვნებელნი იყვნენ; მათ ერთი კვირა კიდევ შეეძლოთ გამაგრება.—ამერიკის ჯარის უფროსმა 13 ივლისს ბრძანება მიიღო, ნუ დააყოვნებს პეკინისაკენ სალაშქროდ წასვლას; ამასთან იუწყებიან, რომ მოსაშველებელი ჯარი უკვე გზაშია.—იაპონიის მთავარ-ბანაკში დიდი მუშაობაა: ჰკრებავენ მუშებს, ამზადებენ სურსათს და ურმებს. იაპონიის ჯარი ერთად ერთია მხოლოდ, რომელიც მზადაა სალაშქროდ წასასვლელად. დაახლოვებით სულ აქ 17,000 ჯარის-კაცია. ახალი, მისაშველებელი ჯარი ყოველ დღე მოდის.

**რომი.** „ელბას“ უფროსი იუწყება 12 ივლისს პეკინში მყოფ საელჩოსაგან მიღებულ წერილის შესახებ. ეს წერილი ჰმოწმობს იაპონიის სამხედრო ატტაშეს მიერ გადმოცემულ ამბავს. სხვათა შორის ნათქვამია წერილში, რომ ჩინეთის მთავრობამ 7 ივლისს ხელ-მეორედ მოსთხოვა უცხო-ქვეყნელ ელჩებს, პეკინიდგან გასულიყვნენ, მაგრამ მათ უარი შეუთვალესო.

**მონცი.** მეფე და დედოფალი აქ მოვიდნენ.

**ლონდონი.** რობერტსი 19 ივლისს პრეტორიიდგან იუწყება, რომ გენტერს დაემორჩილა 1,200 ბური კიდევაო. ჰამილტონს დაემორჩილნენ ბურების წინამძღოლნი—პოტგიტერი და ქუბერი. ოლივიემ მოახერხა გზის გაკაფვა და ხუთის ზარბაზნითა და ერთი მუჭა ბურგერებით გარრისმიტის ოლქში გასვლა. ფრიდრიხ-სტადტში სურსათით დატვირთული მატარებელი გადავიდა ლიანდაგიდგან. ლიანდაგი მტერს გაეფუჭებინა. მოკლულია 13, დაჭრილი 39.—ბურები მახადოდორპიდგან წავიდნენ.—ტელეგრაფი ლეიდენბურგისა და ნელს პრუიტის შუა ბურებმა აღადგინეს.

**ბრიუსელი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა შანხაიში მყოფ ბელგიის წარმომადგენელისაგან მიიღო დეპეშა, 19 ივლისს გამოგზავნილი, რომელიც იუწყება, რომ მოკავშირეთა ჯარი უკვე წავიდა პეკინისაკენ და ეხლა 18 მილის მანძილზედ ტიან-ძინიდგანაო; პეკინში 8 დღის შემდეგ უნდა მოვიდნენ. ყველა ევროპიელნი ქალაქის საიმპერატორო ნაწილში არიან ცოცხალნი.

**მონცი.** მცხოვრებნი დიდის აღტაცებით მიესალმნენ მეფე დედოფალს. ორმა კაცმა შესძახა: „ანარქიას გაუმარჯოსო“! ეს ორივენი ძლივს გამოჰგლიჯეს ხელიდგან ხალხს, რომელსაც უნდოდა იქვე გასწორებოდა ამათ, და დააპატიმრეს.

**ლონდონი.** პეკინიდგან იუწყებიან 5 ივლისის თარიღით, რომ ჩინელებმა მტრული მოქმედებას თავი დაანებეს, მაგრამ ევროპიელები მაინც ფრთხილად არიან. იუნლუს და ტუნფუციზიანის ჯარის-კაცები ალყაშემორტყმულ ადგილის გარს სახელდახელო სიმაგრეებს აკეთებენ და ქალაქის საიმპერატორო ნაწილის კედლებზედ ზარბაზნებს უმატებენ, თუმცა სროლით-კი არ ისვრიან, ალბად სამხედრო სამზადისის უქონლობისა გამო. საიმპერატორო ჯარის უმეტესი ნაწილი პეკინიდგან გამოდის მოკავშირე ჯარის მისაგებებლად. სანოვაგე მოდის; ალყა-შემორტყმულთა მდგომარეობა უკეთესდება. დაჭრილნი კარგადა ჰგრძნობენ თავს. საავადმყოფო წესიერად არის მოწყობილი 150 კაცისათვის და მკურნალნი ზედამხედველობენ. ცზუნგლი-იამენმა მაკდონალდს იმპერატორის მიერ დედოფალ ვიქტორიისადმი წარგზავნილ დეპეშის პირი გადასცა, სადაც ნათქვამია, რომ უწესოებანი მძარცველ ბრბოთა საქმეა და შუამდგომლობასა სთხოვს. ეს დეპეშა დიუმა საბჭომ ცზუნგლი-იამენს 20 ივნისს წარუდგინა, მაგრამ მიუხედავად ამისა, 19 ივნისს გამოაქვეყნეს იმპერატორის ბრძანება, რომლითაც „დიდს მუშტს“ სამამულიშვილო საქმის განსაგრძობად ქრისტიანების ამოსაწყვეტად იწვევდნენ; გარდა ამისა, ვიცე-კოროლებსა და გუბერნატორებს მიწერილობანი გაეგზავნა, რომ მისიონერები გაეძევებინათ, ქრისტიანები დაეჭირათ და ძალდატანებით სარწმუნოებაზედ უარი ეთქმევინებინათ. 5 ივლისს გამოქვეყნდა სულ სხვა ბრძანება, რომლითაც შეერთებულის ჯარების მიერ ტიან-ძინში ჩინელების დამარცხებისა გამო, სახელმწიფომ ახლა სულ სხვა ფრივ შესცვალა თავისი აზრი. აქ პირველად არის მოხსენებული კეტლერის მოკვლა რომელსაც ეხლა ყაჩაღებსა და მძარცველ ბრბოს აბრალებენ, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ კეტლერის მოკვლა წინადვე განზრახული იყოო. თარჯიმანს კორდესს შეუძლიან დაამტკიცოს, რომ კეტლერი ჩინელმა ოფიცერმა მოჰკლა. ჩინელებმა ნაღმები გაიყვანეს და ააფეთქეს საფრანგეთის საელჩო. ელჩმა პიშონმა პირველსავე დღეს, როგორც-კი ალყად შემოერტყნენ, თავი ინგლისის საელჩოს შეაფარა. ყველაზედ საშიში ის იყო, რომ ჩინელებმა ერთს წამსაც არ ახანეს და ცეცხლი წაუკიდეს თავისს წმიდათა-წმიდას—აკადემიას, რომელიც საელჩოებს ზედ ეკრა და სადაც იმყოფებოდა მთელს დედამიწის ზურგზედ იშვიათი წიგნთსაცავი ჩინელებისა. პეიზანის ტაძარში მომწყვდეულ უცხოელების შესახებ არავითარი ცნობები არა გვაქვს. მოკლულია 50 უცხოელი და დაჭრილი 138. ყველა ელჩები, საელჩოების მსახურნი და მათი ცოლ-შვილი უვნებლად არიან. უცხოელთა ახალშენი სანიტარულად საზოგადოდ რიგიანს მდგომარეობაშია.

**კაპშტადტი.** პეტერმბურგში მრავალი საბუთის ქაღალდი აღმოჩენილა ინგლისიდგან, რომლებიც ბურების თანამგრძნობ პარლამენტის ზოგიერთს წევრსა და პოლიტიკოსს ჩირქს სცხებს თურმე.

**პარიჟი.** როდესაც შაჰი უცხოხელმწიფეთა სასახლიდგან გამოდიოდა, ვიღაც კაცი შაჰის ეტლისაკენ გაექანა შეღერებულის ჯოხითა და დაიყვირა—„ხალხის შვილებს გაუმარჯოსო“. ამ კაცს რევოლვერი აღმოაჩნდა, მაგრამ, როგორცა სჩანს, ეტყობა მოკვლა არა ჰქონია განზრახული.

**ვაშინგტონი.** სამხედრო სამინისტრომ დაავალა გენერალს ჩაფფის ჩინელ ჯართან ერთად იმოქმედოს, თუ რომ ეს უკანასკნელნი აჯანყებულთა დაშოშმინებასა და დამშვიდებას ეცდებიან.

**ნიუ-იორკი.** ტიან-ძინიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ იაპონიის მოწინავე ჯარი დამარცხდა და 150 კაცი დაუჭრეს და მოუკლესო. რუსებმა პეკინისაკენ მდებარე სიმაგრეები აიღეს, რომლებიც ტიან-ძინიდგან 10 ვერსის მანძილზეა დაშორებული. 10,000 ჩინელი ჯარის-კაცი გაიქცა.

21 ივლისი

**პეტერბურგი.** გროდეკოვის დეპეშა, 19 ივლისს გამოგზავნილი: „14 ივლისს გენერალმა სახაროვმა სან-სინის ფუდუტინი მიიწვია მოსალაპარაკებლად, მაგრამ პასუხი არ მიიღო, ამიტომ ჯარი 14 ივლისს სან-სინის ჩრდილოეთ-დასავლეთ-თ დადგა, 15 დილიდგან ყუმბარები დაუშინა, ხოლო შუადღისას ქვეითნი და ყაზახნი წყალში გავიდნენ, იერიში მიიტანეს ქალაქზედ და ყველა საფარიდგან გაიდევნეს მტერი. ჩინელები გაიქცნენ, დასტოვეს ზარბაზნები, თოფები და საომარი მასალა; ჯარმა აიღო 22 ზარბაზანი აქედგან 14 გოჩკისისა. ჩინელებმა, რიცხვით 4,000 კაცმა, ბევრი მეომარი დაჰკარგეს, მცხოვრებნი თითქმის ყველანი გაიქცნენ; ჯარი მამაცად იბრძოდა. ჩვენი ზარალი მცირეა“.

**ლონდონი.** პალატა. ბალფურმა სთქვა, ინგლისის მთავრობამ გამოუცხადა ბელგიის მთავრობას, რომ სიპიდოს პროცესის შედეგში მართლ მსაჯულების შეცდომასა ვხედავთო. მწუხარებით გაიგო მთავრობამ, რომ ბელგიის მთავრობამ სიპიდოს შესაპყრობად არ მიიღო ზომები იმ დრომდე, ვიდრე სასამართლოს განაჩენის გამო გარდაწყვეტილება იქმნება მიღებული. ბელგიის მთავრობას ჯერ პასუხი არ გაუგზავნია.

**ტიანძინი.** 14 ივლისს გენერალმა გეზლიმ მიიღო ინგლისის ჯარის უფროსობა.

**პარიჟი.** დაწვრილებით ცნობები იმ შემთხვევისა, რომელიც სპარსეთის შაჰის გადახდა: მუშის ტანისამოსში გამოწყობილმა კაცმა მოულოდნელად გაარღვია პოლიციელნი და მოიწადინა ეტლის საფეხურზედ დადგომა, ამავე დროს შაჰს რევოლვერი დაუმიზნა. დიდმა ვეზირმა გამოჰგლიჯა ბოროტ-განმზრახველს რევოლვერი, ხოლო პოლიციელებმა შეიპყრეს. ბრბო ისე იყო განრისხებული, რომ პოლიციელებმა ძლივს გადაარჩინეს. როდესაც პოლიციაში შეიკითხეს, ბოროტ-განმზრახველმა განაცხადა: „ეს ჩემი სინიდისის საქმეაო“, შემდეგ-კი სთქვა, განზრახვა, რომ ჩემი განზრახვა სისრულეში ვერ მოვიყვანეო. რევოლვერი ხუთის ტყვიით იყო გატენილი.

**პარიჟი.** ფიქრობენ, რომ ის კაცი, რომელმაც შაჰის მოკვლა განიზრახა, იტალიელი არ არის, თუმცა ლაპარაკში იტალიური აქცენტი ეტყობა. თან ამ კაცს მხოლოდ ორი ფრანკი ჰქონდა. ამბობენ, რომ ერთის წუთით წინ სასახლიდგან უცხო-ქვეყნელ მეფეთა გასვლამდე, შაჰს გადასცეს წერილი, რომლის ქვეშ მოწერილ სახელსაც იტალიანური დაბოლოვება ჰქონდა; ზედ ეწერა „ნეაპოლი“, მაგრამ პარიჟის ქალაქის ფოსტით-კი იყო გაგზავნილი. წერილით აფრთხილებდნენ შაჰს, თქვენი მოკვლა აქვთ განზრახულიო, მაგრამ შაჰმა ყურადღება არ მიაქცია და წერილი პოლიციის კომისარს გადასცა.

**მონცა.** დეკრეტით მეფემ დაამტკიცა ახლანდელი სამინისტრო. მინისტრებმა ფიცი მიიღეს.

**ლონდონი.** პალატა. როდესაც ბროდრიკს შეეკითხნენ, მან განაცხადა, კორეაში რუსეთისათვის მიწაადგილის დათმობა სრულიად კორეისაგან იყო დამოკიდებული, ეს საქმე უცხო-ქვეყნელთა ინტერესებს არ ეხება. ინგლისის მთავრობას საფუძველი არა ჰქონდა, რომ ამ საქმეში ჩარეულიყო.

---


# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

აცხადებს, რომ 24 ივლისს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა ალექსანდრეს ბაღის კედლის შეკეთების საქმე. საჭიროა შეკეთება ქვითკირის კედლისა და საძირკვლისა, აგრეთვე შეკეთება რკინის მოაჯირებისა და იმის შეღებვა; სამუშაო სულ 3000 მანეთისაა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირაუქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(3—6.—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 23-го Іюля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე